15.523
К
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარგის კაკაბაძე.

დიდის ალექსანდრე მეფის გამეფების თარიღი.

საქმე-2700
შეფასებულია

ტფილისი
სტამბა, ბ. ა. ქილაძისა, ველიამინოვის ქუჩა № 6.
1913

ეროვნული
ბიბლიოთეკა

К 15.523/3

დიდის ალექსანდრეს გამეფების თარიღი.

საქართველოს მეფის დიდის ალექსანდრეს გამეფების თარიღის შესახებ უტყუარი ცნობა მოიპოება ერთს მისს სიგელში „საურისა ამოკუეთისა“ 1440 წელს. ამ სიგელში ნათქვამია: „ქორონიკონსა რა (101) მეფედ დავჯედ [იყო მაშინ ყოველი საქართ]ველო უსჯულოსა თემურისაგან (აოკრებულ) და ქართლი უნუგეშინისცემოდ განსრული დაგუიხუდა“ [1]). აქედან ცხადია ალექსანდრე გამეფებულა 101 ქორონიკონს. მაგრამ აქ ჩნდება ერთი საკითხი, რომლისათვისაც საზოგადოდ აქამდის ყურადღება არ იყო მიქცეული, ქორონიკონი პირველ იანვრიდან უნდა ვიანგარიშოთ, თუ წინანდელ წლის 1 სექტემბრიდან. ბიზანტიაში ამ დროს, ცნობილია, წელიწადი 1 სექტემბერს იწყებოდა. როგორ იყო ამ დროს ჩვენში? მხოლოდ ამის გაგების შემდეგ შეიძლება საზოგადოთ საშუალო საუკუნოების სხვა და სხვა ფაქტების უფრო სწორად დათარიღება. კერძოდ ის საკითხი, თუ როდის გამეფდა დიდი ალექსანდრე შეიძლება ზემოდმოხსენებულ ცნობის გარეშე გამოირკვეს ზოგიერთ ამ მეფის მიერ ბოძებულ სიგლის მიხედვით, რომელიც კი დაწვრილებით დათარიღებულია, როგორც ქორონიკონისა, ისე მეფობის ინდიქტიონის ჩვენებით. სახელდობნი, მცხეთის ერთი სიგელი № 57 დაწერილია 112 ქორონიკონს (=1424 წ.) 6 იანვარს მეფობის ინდიქტიონს მე-12-ს [2]). კიდევ მეორე სიგელი ალექსანდრე მეფისა ბოძებულია 128 ქორონიკონს (=1440 წ.), 20 ფებერვალს, მეფობის ინდიკ-

[1]) Акты кавк. археогр. ком. I, ქრონიკები, II, 247.
[2]) ქრონიკები, II, 248.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიონს მე-28-ს [3]). ამ ცნობების მიხედვით ალექსანდრეს გამეფება უწევს 1412 წლის 21 ფებერვლიდან 1413 წლის 5 იანვრამდის. ერთი სიგელი მცხეთისა კიდევ ბოძებულია 101 ქორონიკონსა (=1413 წ.) მარტის 11, მეფობის ინდიკტიონს პირველს [4]). მაშასადამე, ალექსანდრე გამეფებულა არა უადრეს 1412 წლ. 12 მარტისა და არა უგვიანეს 1413 წ. 5 იანვრისა. შემდეგ, მცხეთის № 3 სიგელი ბოძებულია 108 ქორონიკონს, 10 სექტემბერს, მეფობის ინდიკტიონს მეშვიდეს [5]). თუ აქ წელიწადი პირველ იანვრიდან ვიანგარიშეთ, მაშინ 10 სექტემბერი 108 ქორონიკონისა უდრის 1420 წელს და ალექსანდრეს გამეფება უწევს ამ სიგლის მიხედვით 11 სექტებ. 1413 წ.— 11 სექტემბ. 1414 წლ., რაიც არ ეთანხმება ზემოდნახსენებ ცნობებს. ხოლო თუ წელიწადი 1 სექტემბრიდან ვიანგარიშეთ, მაშინ 108 ქორონიკონის 10 სექტემბერი უდრის 1419 წელს და ალექსანდრეს გამოფება მოდის ამ სიგლის მიხედვით 11 სექტემბ. 1412—11 სექტემბ. 1413 წლისა, რაიც მართლაც ეთანხმება სხვა უკვე ნახსენებ სიგლების ცნობას. მაშასადამე, 1419 წლის სიგელში წელიწადი ნაანგარიშევია 1 სექტემბრიდან და ალექსანდრეს გამეფებაც ამ დამატებითი ცნობის შემდეგ მიეკუთვნება არა უადრეს 1412 წლის 11 სექტემბრისა და არა უგვიანეს 1413 წ. 5 იანვრისა. საინტერესოა კიდევ ერთი სიგელი, რომელიც ბოძებულია 105 ქორონიკონს 29 სექტემბერს მეფობის ინდიქტიონს მე-6-ს [6]). აქ, ცხადია, წელიწადი ნაანგარიშევია 1 იანვრიდან, ვინაიდგან თუ წელიწადი 1 სექტემბრიდან ვიანგარიშეთ ქორონიკონი 105 უდრის 1416 წელს და მაშინ ინდიკტიონის მიხედვით ალექსანდრეს გამეფება მოდის 30 სექტ. 1410 წ. 30 სექტ. 1411 წ., რაც

---

[3]) საქართ. სიძველ. II, 15,

[4]) ქრონიკები, II, 220.

[5]) ქრონიკები, II, 226.

[6]) ქრონიკები, II, 224.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეუწყნარებელია. ხოლო თუ წელიწადს პირველ იანვრიდან ვიანგარიშებთ, მაშინ ინდიკტიონის მიხედვით ალექსანდრეს გამეფება ამ სიგლით გამოდის 30 სექტ. 1411 წ.—30 სექტ. 1412 წ. ახლა ამ ცნობას ზემოდმოყვანილ ცნობებს თუ შევუფარდებთ, გამოდის, რომ ალექსანდრე გამეფებულა 1412 წ. 11—30 სექტემბერში. არის კიდევ ერთი სიგელი ალექსანდრე მეფისა, ბოძებული 101 ქორონიკონს, 20 სექტემბერს მეფობის ინდიკტიონს პირველს[7]) თუ აქ წელიწადი 1 სექტემბრიდან იანგარიშება, რაც უფრო საგულისხმოა[8]), მაშინ ალექსანდრეს გამეფება გამოდის 1412 წ. 11 -19 სექტემბერში.

ამ გვარად, როდესაც მეფე ალექსანდრე საურის ამოკვეთის სიგელში ამბობს, 101 ქორონიკონს მეფედ დავჯედიო, წელიწადს ის ანგარიშობს 1 სექტემბრიდან. 101 ქორონიკონი ამის მიხედვით უდრის 1412 წ. 1 სექტემბ.—1413 წ. 1 სექტემბ. თვით ალექსანდრე კი მეფედ დამჯდარა 1412 წ. 11—19 სექტემბერს[9]).

ამასთანავე საგულისხმოა, რომ მე-XV საუკ. პირველ ნახევარში ჩვენში წელიწადი 1 სექტემბრიდან იანგარიშებოდა, თუმცა ალექსანდრე მეფის ერთი ზემოდნახსენები 1417 წლის სიგელი გვიჩვენებს, რომ მისივე დროს უკვე ფეხს იდგამდა 1

---

[7]) ქრონიკები, II, 220.

[8]) ეს სიგელი დაწერილია დემეტრე მარკოზის შვილის მიერ. 108 ქორონიკონის სიგელში, რომელიც აგრეთვე ამ მწიგნობრის დაწერილია (ქრონიკები II, 226), როგორც ვნახეთ, წელიწადი 1 სექტემბრიდან იანგარიშება.

[9]) ცნობილია კიდევ ერთი სიგელი ალექსანდრე მეფისა, დაწვრილებით დათარიღებული, დაწერილი 107 ქორონიკონს 22 სექტემბერს მეფობის ინდიქტიონს მეხუთეს (ქრონიკ. II, 224). ამ სიგლის თ. ჟორდანიას უნახავს მხოლოდ პირი და თარიღიც აქ შემცდარი უნდა იყოს, რადგან აქ ნაჩვენები ქორონიკონი და ინდიქტიონი არ შეესაბამება სხვა ცნობებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იანვრის დასაწყისიც. მე-XV საუკ. მეორე ნახევრიდან კი ჩვენში გაბატონებულია 1 იანვრის ანგარიში, როგორც წლის დასაწყისისა [10]).

შენიშვნა: აქ უნდა აღვნიშნო, რომ რამოდენიმე საბუთის მიხედვით წლის 1 სექტემბრიდან ანგარიში მე-XV საუკუნის შემდეგაც გაგრძელებულია. მე-XVI საუკ. ერთს სვინაქსარის გადამწერი ამბობს: „აღვწერე წიგნი ესე სჯნაქსარი ბრძანებითა ბატრონისა კახთ დედოფლისა თინათინისათა, დავიწყე გრემს სანახებსა დ᾽ თისმშობლისა საყდარსა შ᾽ ა თუსსა დეკემბერსა ექუსსა, ქ᾽ კს სკგ, გათავდ ადონს ტაძარსა შინ ნათლისმცემლისსა თუსსა ივნისა იბ, დღესა შაბათსა, ქ᾽ კსა სკგ, ზედნადებსა კგ.“ *) გადამწერს გადაწერა წიგნისა დაუწევია ერთსა და იმავე ქორონიკონს დეკემბერში და გუთავებია ივნისში იმავე ქორონიკონს. ცხადია ქორონიკონი 223 აქ ნაანგარიშევია 1534 წლის 1 სექტემბრიდან 1535 წლის 1 სექტემბრამდის. აი კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც გვიშვენებს, რომ ათხაზეთის საკათალიკოზოს ზოგიერთ ნაწილში წელიწადი 1 სექტემბრიდან იწყებოდა თვით მე-XVII საუკუნის დასაწყისშიაც. ათხაზეთის საკათალიკოზოს მამულების დიდი დავთარი გადაწერილია კათალიკოზის მა-

---

[10]) ალექსანდრეს შვილის გიორგი IX სიგელებში უმეტესად წელიწადი 1 იანვრიდან არის ნაანგარიშევი. გიორგი IX გამეფდა 1447 წ. 31 იანვარსა და 11 ივნისს შორის (ჩემი „ვახტანგ, უცნობი მე-XV საუკ. აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი“ 15). ამის მიხედვით გამოდის, რომ მიაი 135, 137, და 151 ქორონიკონის სიგელებში (ქრონიკები, II, 260, 261; საქართ. სიძველ. II, 19, ჩემი „მცხეთის საკათალიკოსო გუჯარი, 1447 გიორგი IX-ს მიერ ბოძებული“) წელიწადი ნაანგარიშევია 1 იანვრიდან და არა 1 სექტემბრიდან, რადგან თუ წელიწადი 1 სექტემბრიდან ვანგარიშეთ, მაშინ გიორგი IX გამეფების თარიღი არ შეეფარდება სხვა სიგელებზე დამყარებულ ანგარიშს, იმ სიგელებზე, რომელნიც ბოძებულია იანვრისა და აგვისტოს თვეებს შორის და რომელთა დათარიღებაც ამიტომ წლის დასაწყისის მხრივ ფიქრებს არ იწვევს. (შეადარე ჩემს ნაჩვენებ შრომაში სია გიორგი IX-ს დაწერილებით დათარიღებულ სიგელებისა, გვ. 15).

*) ქრონიკები, II, 380.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაქიას ბრძანებით და მისი გადაწერა დამთავრებულა 310 ქორონიკონს 8 ნოემბერს ხუთშაბათს. 310 ქორონიკონი უდრის 1622 წელს, ხოლო 8 ნოემბერს ხუთშაბათი მოდიოდა 1622 წელს კი არა, არამედ 1621 წელს. თუ აქ გადამწერს დღის სახელის ჩვენებაში შეცდომა არ მოხვლია, ცხადია, წელიწადი ნაანგარიშევია 1 სექტემბრიდან. მე-XVI—XVII საუკუნეში საეოველთაოდ ჩვენში წელიწადი 1 იანვრიდან იანგარიშება, მაგრამ სჩანს ეოფილა კიდევ ისეთი კუთხეები, სადაც ჯერ კიდევ ძველებური 1 სექტემბრის ანგარიშიც შენარჩუნებული ეოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა